სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 20

2013 წლის 15 აპრილი

ქ. თბილისი

UNESCO–სა და L'OREAL–ის ერთობლივი სტიპენდიის მოსაპოვებელ კონკურსში – „ახალგაზრდა ქალები სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში – 2014" საქართველოს სახელით მონაწილე კონკურსანტთა შერჩევის მიზნით სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გასატარებელი ღონისძიებებისა და კომისიის შექმნის შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე–2 მუხლის მე–2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2013 წლის 28 მარტის №107353 წერილის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „UNESCO –სა და L'OREAL–ის სტიპენდიის მოსაპოვებელ ერთობლივ კონკურსში – „ახალგაზრდა ქალები სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში – 2014" საქართველოს სახელით მონაწილე კონკურსანტთა შერჩევის მიზნით სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გასატარებელი ღონისძიებები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს UNESCO–სა და L'OREAL–ის სტიპენდიის მოსაპოვებელ ერთობლივ კონკურსში – „ახალგაზრდა ქალები სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში – 2014" სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის წარსადგენ კანდიდატთა გამოსავლენი კომისია შემდეგი შემადგენლობით:
ა) კარლო ლაფერაძე - სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) გენერალური დირექტორის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;
ბ) ანი ჩიქოვანი – ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;
გ) მარიამ იაშვილი - ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;

შემსრულებელი:
ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მარიამ იაშვილი _____

შეთანხმებულია:

ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი ეკატერინე ბუთლიაშვილი _____

სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის
უფროსი ირაკლი ნოსელიძე ----------

გენერალური დირექტორის მოადგილე კარლო ლაფერაძე ----------

დ) ნიკოლოზ ბაქრაძე - საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში ფონდის კონსულტანტი, კომისიის წევრი;
ე) მაია ქაჯაია - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი.
ვ) თამარ ბოკუჩავა - ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი.

3. დაევალოს მეცნიერების პოპულარიზაციის საკითხებში ფონდის კონსულტანტს (დ. გუგავა) წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge.
4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

სულხან სისაური

დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის 2013 წლის 13 სექტემბერი
№ 20 ბრძანებით

UNESCO –სა და L'OREAL–ის სტიპენდიის მოსაპოვებელ ერთობლივ კონკურსში – „ახალგაზრდა ქალები სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში – 2014" საქართველოს სახელით მონაწილე კონკურსანტთა შერჩევის მიზნით სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გასატარებელი ღონისძიებები

2014 წლის UNESCO-L'OREAL-ის ერთობლივი სტიპენდია გათვალისწინებულია ე.წ სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში (Life Sciences), ბიოლოგიის, ბიოქიმიის, ბიოტექნოლოგიის, სოფლის მეურნეობის, მედიცინის, ფარმაკოლოგიისა და ფიზიოლოგიის დარგებში კვლევითი სამუშაოებით დაკავებული მეცნიერი ქალბატონებისთვის, რომელთა ასაკი არ აღემატება 35 წელს.
სტიპენდია გაიცემა მაქსიმუმ 12 თვეზე 20 000 აშშ. დოლარის ოდენობით.

სამიზნე ჯგუფი

კანდიდატები უნდა ჰქონდეთ დოქტორის ან დოქტორანტის ხარისხი და მუშაობდნენ სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებების ერთ-ერთ ან მონათესავე სამეცნიერო მიმართულებით, კონკრეტულად კი შემდეგ სამეცნიერო მიმართულებით: ბიოლოგია, ბიოქიმია, ბიოტექნოლოგია, სოფლის მეურნეობა, მედიცინა, ფარმაცია და ფიზიოლოგია.

სპეციალური ყურადღება მიექცევა განვითარებადი ქვეყნის კანდიდატებს (LDCs).

ვის შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კონკურსში

მაქსიმუმ ოთხი აპლიკანტი (წარმოდგენილი ეროვნული კომისიები მიერ) უნდა აკმაყოფილებნდნენ შემდგე კრიტერიუმებს:

1. **UNESCO-** -ში განაცხადებს წარადგენენ ეროვნული კომისიები. ინდივიდუალურად წარდგენილ აპლიკაციებს **UNESCO-** საკონკურსოდ არ განიხილავს

2. კანდიდატები არ უნდა აღემატებოდნენ 35 წელს. აპლიკანტები რომლებიც არიან დაბადებულნი 1979 წლის 1 იანვრამდე ვერ მიიღებენ მონაწილეობას კონკურსში.

3. უპირატესობა მიენიჭებათ ph..D ხარისხის (ან მისი ექვივალენტის) მქონე კანდიდატებს, რომლებიც მუშაობენ სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში.

4. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ სათანადო კვალიფიკაციის კანდიდატებს, რომლებიც გამოირჩევიან ინტელექტუალური და პიროვნული ნიშნის დემონსტრირებით.

5. კანდიდატები სრულყოფილად უნდა ფლობდნენ შემოთავაზებული ქვეყნის ენას (კითხვა,წერა).

6. კანდიდატები უნდა იყვნენ ჯანმრთელები (ფიზიკურად და გონებრივად).

7. **UNESCO-** და **L'OREAL** –ის ერთობლივი სტიპენდიის კონკურსში მონაწილე კანდიდატები არ უნდა ახორციელებდნენ სხვა დონორის მიერ დაფინანსებულ პროექტს. რათა არ მოხდეს ორი პროექტის გადაფარვა. იმ შემთხვევაში თუ კანდიდატი მიიღებს სხვა დონორისგან სტიპენდიას, დაუყონებლივ უნდა შეატყობინოს **UNESCO** -ს და მისი განაცხადი ხელმეორედ განიხილება.

განაცხადების წარდგენის პირობები

1. მეცნიერების სფერო: სიცოცხლის შემსწავლელი

2. პროექტების მიღების საბოლოო თარიღი; 2013 წლის 30 მაისი

3. პროექტის/კვლევის მიმდინარეობის ვადები: 12 თვე; შესაძლო 12 თვით გაგრძელების შესაძლებლობით

4. მასპინძელ ქვეყანაში/ლაბორატორიაში ყოფნის ხანგრძლივობა განისაზღვრება სულ მცირე 6 თვთ და მაქსიმუმ 12 თვთ; პროექტის გაგრძელების შემთხვევაში კი სულ მცირე 12 თვით და მაქსიმუმ 22 თვით.
პროექტის დასკვნითი ეტაპი კანდიდატმა უნდა განახორციელოს სამშობლოში მინიმუმ 2 თვის ვადაში.

5. პროექტის დაწყების შესაძლო თარიღი: ნებისმიერი თარიღი 2014 წლის 1 მარტიდან 2015 წლის 1 მარტის შუალედში.

6. სტიპენდიის გაგრძელებისთვის აუცილებელი მოთხოვნები:

სტიპენდიის გაგრძელებისთვის აუცილებელია შემდეგი დოკუმენტაციის წარდგენა პროექტის დასრულებამდე 3 თვით ადრე:

განაცხადების წარდგენის პროცედურები:

სააპლიკაციო ფორმას თან უნდა ახლდეს კონკურსით მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

თითოეულმა ქვეყანამ უნდა წარადგინოს მაქსიმუმ 4 კანდიდატი. ეროვნული კომიტეტების პასუხისმგებლობაა შეარჩიოს კანდიდატები **UNESCO**–ში წარსადგენად.

ეროვნულ კომიტეტებს შეუძლიათ ითანამშრომლონ ადგილობრივ სამეცნიერო წარმომადგენლობებთან კვალიფიციური კანდიდატების მოძებნის/შერჩევის მიზნით.

1 კონკურსში წარსადგენი სავალდებულო დოკუმენტაცია

- სრულყოფილად შევსებული **UNESCO**--ს სააპლიკაციო ფორმა ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე, თანდართული ორი ფოტო სურათით;
- აპლიკანტის ელექტრონული ფოსტის მისამართი;
- აკადემიური/სამეცნიერო ხარისხ(ებ)ის დამადასტურებელი სერტიფიკატის/დიპლომის ასლი ან დამოწმებული ცნობა დოქტორანტობის შესახებ;
- აპლიკანტის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციების ჩამონათვალი (არსებობის შემთხვევაში);
- სარეკომენდაციო წერილი იმ პირისგან, რომელიც კარგად იცნობს აპლიკანტის სამეცნიერო მოღვაწეობას;
- მიმღები ინსტიტუტის თანხმობის წერილი, რომელიც ადასტურებს მზადყოფნას სტიპენდიანტის სტაჟირებაზე მისაღებად. წერილში მითითებული უნდა იყოს მეცნიერ-ხელმძღვანელის ვინაობა, თანამდებობა, სტაჟირების დაწყების თარიღი და ვადები;
- სტაჟირების ქვეყნის ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (**UNESCO**--ს მიერ მოთხოვნილი ფორმით) კომპეტენტური პირის ხელმოწერით;
- დაგეგმილი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დეტალური აღწერილობა ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე ერთიდან ორ გვერდამდე.
- სააპლიკაციო ფორმა ქართულ ენაზე

კონკურსის ფარგლებში არ ფინანსდება ბიუჯეტის შემდეგი კატეფორიები:

კომპიუტერი და სხვა ტექნიკური აღჭურვილობა; საგამომცემლო თანხები; კონფერენციებზე დასწრების ხარჯები; გამონაკლისი დასაშვებია, თუ ეს ეხება კვლევის მნიშვნელოვან ნაწილს და ექნება პირდაპირი და მნიშვნელოვანი გავლენა პროექტის შედეგზე სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიეერების განვითარების კუთხით.

საკონკურსო პროგრამის ადმინისტირებას ახორციელებს **UNESCO-** და **L'OREAL** –ის ერთობლივი ფონდი

პროგრამის ადმინისტრირებას ახორციელებს **UNESCO**-შემდეგი მიმართულებებით:

- ფინანსური შემოწირულობა არ უნდა აღემატებოდეს 20 000 დოლარს წელიწადში თითოეული ბენეფიციარისათვის, სტიპენდიის შესაძლო გაგრძელების შესაძლებლობით
- კონკურსით შერჩეული ბენეფიციარების სამოგზაურო ხარჯების სრული დაფარვა თავიანთი სამშობლოდან პარიზში (თარიღი განსაზღვრული არ არის) დაჯილდოვების ცერემონიალზე დასწრების მიზნით
- მათი საცხოვრებელი და დღიური თანხებით უზრუნველყოფა პარიზში

ბენეფიციარების შერჩევის პროცედურა

კანდიდატების შერჩევას ახდენს **UNESCO-** და **L'OREAL** –ის და სიცოცხლის შემსწავლელი კვლევითი გაერთიანებების და ინსტიტების წარმომადგენლებისგან შემდგარი ბენეფიციარების შესარჩევი კომიტეტი. საერთაშორისო ფუნდამენტალური

სამეცნიერო პროგრამა გაუწევევს ასევე კონულტირებას ბენეფიციარების შერჩევის პროცესს.

UNESCO დაუკავშირდება მხოლოდ შერჩეული კანდიდატებს.

კანდიდატებს, რომლებსაც არ შეეხმიანებიან 2013 წლის სექტემბრის ბოლომდე, მათი სააპლიკაციო განაცხადები არ იქნა შერჩეული..

სსიპ შოთა რუსათველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ადგენს შემოსული დანაცხადების შესაბამისობას კონკურსის პირობებთან და გადაგზავნის მათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში

უფრო დეტალური ინფორმაცია კონკურსის პირობების, კრიტერიუმების, წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ იხილეთ შემდეგ ლინკზე:

http://www.loreal.com/DD/loreal/Foundation/Article.aspx?topcode=Foundation_AccessibleScience_WomenExcellence_W.

შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში განაცხადების წარდგენის ბოლო ვადაა არის 2013 წლის 15 მაისი, 18:00 საათი.